პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 270 (10967) | შაბათი, 16 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

აფხაზეთის კულტურის მიღწევათა დათვალიერება

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარი — საბჭოთა კავშირის ხალხთა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა წარმოადგენს მტკიცე საფუძველს ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. მრავალეროვან საბჭოთა ქვეყანაში არ არის არც ერთი ხალხი, რომელსაც არ შეჰქონდეს თავისი წვლილი სოციალისტური კულტურის საგანძურში.

ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპების ბოლომდე ერთგული საბჭოთა მწერლები, ხელოვნების მუშაკები თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში ხელმძღვანელობენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით, ახლოს მიდიან ცხოვრებასთან, ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, გამარჯვებებისაკენ მიჰყავთ საბჭოთა კულტურა.

მეტად სასარგებლო ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში — ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადების მოწყობა, რაც განსაკუთრებით უწყობს ხელს საბჭოთა კულტურის აღმავლობას, შემოქმედებითი მუშაკების პროფესიულ დაოსტატებას.

მომავალ წელს გათვალისწინებულია მოსკოვში მოეწყოს საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ენერგიულად ემზადებიან ამ დიდი შემოქმედებითი შემოწმებისათვის. ამ მზადების ნათელი დემონსტრაცია იყო წელს თბილისში მოწყობილი აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, რომლებმაც თბილისელ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

დღეს იწყება მესამე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება — თბილისის პარტიული ორგანიზაციის სახელობის თეატრში იხსნება აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ერთიან ოჯახში, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველი ერის ძმური მზრუნველობით გაიფურჩქნა და აყვავდა მზიური აფხაზეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა. მშრომელებს დაუმკვიდრდა ბედნიერი ცხოვრება. აქ ამჟამად ხალხის მატერიალური და კულტურული სიმდიდრის განუხრელი ზრდის საქმეს ემსახურება მრავალი სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

აფხაზეთი ააყვავეს და გაამშვენიერეს თავისუფალმა და ბედნიერმა საბჭოთა ადამიანებმა, შრომის დროს შრომა და მოლხენის დროს მოლხენა რომ უყვართ. მათი ნაამაგარია ეს მაღაროები და ფაბრიკები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უხვმოსავლიანი ბაღები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ეს ულამაზესი კურორტები.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურა დიადი ოქტომბრის პირმშოა. მანამდე აფხაზი ხალხი ძირითადად თავის ნატვრას, ოცნებას და ფიქრს ხალხურ ზეპირსიტყვაობაში აქსოვდა. აფხაზური ფოლკლორი, რომელშიც ასახულია ამ მამაცი ხალხის გმირული ბრძოლები მჩაგვრელებისა და დამპყრობლების წინააღმდეგ, თავისი ღირსებით ჭეშმარიტად დგას მოძმე ერების ხალხთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გვერდით.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო აფხაზური ლიტერატურის გაფურჩქვნა. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აფხაზეთის სახალხო პოეტს დიმიტრი გულიას. უკანასკნელ წლებში ნიჭიერმა აფხაზმა მწერლებმა შექმნეს მრავალი საინტერესო ნაწარმოები — მოთხრობები, ლექსები, პოემები, რომლებმაც მკითხველთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს.

ბევრი საინტერესო დადგმა ნახა მაყურებელმა სოხუმის სახელმწიფო თეატრში. აქ მუშაობს როგორც აფხაზური, ისე ქართული დრამა. სოხუმის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში საკმაო ადგილი უჭირავს აფხაზი დრამატურგების ნაწარმოებებს.

ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება, მისი გმირული წარსული, ნათელი აწმყო და უფრო ბრწყინვალე მომავალი ჩაქსოვილია აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ცეკვებსა და სიმღერებში... ამ ანსამბლმა მდიდარ ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობით შეძლო მეერჩია საუკეთესო რეპერტუარი. ცეკვებსა და სიმღერებში იგრძნობა აფხაზეთის ისტორია, მისი ბრძოლა თავისუფლებისათვის, მისი ადამიანების სიმამაცე და შეუპოვრობა, გმირული შრომა და პატრიოტიზმი.

თვალწარმტაცი ზღვისპირეთის პეიზაჟი, ქვეყნის გმირული ისტორია, ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ააყვავეს მზიური აფხაზეთი, — აი აფხაზეთის ასსრ მხატვართა შთაგონების წყარო.

დეკადის დღეებში მოხდება აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრები თბილისის შემოქმედებით მუშაკებთან. საჭიროა ეს შეხვედრები იყოს საქმიანი, გაიშალოს მეგობრული, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ჩვენმა მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი შემოქმედებითი შრომის გამოცდილება და ამით ხელი შეუწყონ ლიტერატურისა და ხელოვნების საერთო აღმავლობას.

თბილისელი მაყურებელი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მოძმე აფხაზი ხალხის კულტურის მოღვაწეთა ჩამოსვლას დედაქალაქში. ეს აღფრთოვანება ბუნებრივია. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ამცირებს იმ დიდ მოთხოვნას, რომელსაც საბჭოთა მაყურებელი, მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე მკითხველი უყენებს თეატრს, მწერლებს, მხატვრებს და ხელოვნების სხვა მუშაკებს.

ჩვენი კულტურა გამარჯვებული სოციალიზმის კულტურაა. იგი წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას, ამდიდრებს საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, აღაფრთოვანებს მშრომელებს კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის. ეჭვი არ არის აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, ამ დეკადაზე მოპოვებული წარმატება, მდიდარი გამოცდილება სტიმული გახდება ახალი შემოქმედებითი აღმავლობისათვის...

ვუსურვოთ აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დიადის მონაწილეებს ახალი და ახალი წარმატებანი შემოქმედებით მუშაობაში.

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღიური

დღეს, 16 ნოემბერს, თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში იხსნება აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

დეკადის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო ნაწილის შემდეგ ნაჩვენები იქნება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დრამის სპექტაკლი — ა. ხუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“ (თარგმანი შ. ფაჩალიასი). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შ. ფაჩალიას, მხატვრული გაფორმება — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. ყაზბეგს. მუსიკა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ. გაბიჩვაძეს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები კვირას, 1957 წლის 22 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1957 წელი, 15 ნოემბერი.

ვ. მჟავანაძემ მიიღო ფინეთის კომპარტიის დელეგაცია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ 13 ნოემბერს მიიღო ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ფინეთის რევოლუციური მოძრაობის ვეტერანების დელეგაცია.

მიღებას დაესწრნენ დელეგაციის წევრები არვი მატილაინენი, იურიე ფორსტერმი, ჰელვი კოსკი, ერის ფორსი, ვილჰო ჰასინენი, კალე სუგანდერი.

მიღების დროს გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოში

მძიმე დანაკლისმა, რაც ჩეხოსლოვაკიის ხალხმა განიცადა, დიდი მწუხარება გამოიწვია საბჭოთა ადამიანების გულში. 14 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის საელჩოს ეწვივნენ მოსკოვის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რათა სამძიმარი გამოეცხადებინათ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების გამო.

საელჩოს შენობაზე დახრილია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. ერთ-ერთ დარბაზში პოსტამენტზე, რომელსაც შემოვლებული აქვს შავი კრეპი, ცოცხალ ყვავილებში ჩასმულია ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის პორტრეტი.

დღის პირველ ნახევარში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსაცხადებლად მივიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მეთაურობით.

15 საათსა და 30 წუთზე საელჩოში მივიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მეთაურობით.

მიმართა რა სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩს იარომირ ვოშაგლიკს, მაო ძე-დუნმა თქვა, რომ იგი თავისი სახელითა და პარტიისა და მთავრობის მთელი დელეგაციის სახელით სამძიმარს უცხადებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, მთავრობის წევრებს და ეროვნული კრების ყველა დეპუტატს. „ჩვენს მწუხარებას გამოვთქვამთ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო“, — თქვა მაო ძე-დუნმა.

გვირგვინს, რომელიც მიიტანეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა, ასეთი წარწერა აქვს: „ჩეხოსლოვაკიის ხალხის გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ა. ზაპოტოცკის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისაგან“.

საელჩოს ამავე დღეს ეწვივნენ სსრ კავშირში აკრედიტებული ბევრი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვის დღე — 18 ნოემბერი გამოცხადდეს გლოვის დღედ და გამოფენილ იქნეს ამ დღეს სამგლოვიარო ალმები.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოძრაობის შესახებ

15 ნოემბრის დილის 6 საათისათვის დედამიწის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 166-ჯერ შემოუარა დედამიწას. პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა და მისმა მატარებელმა რაკეტამ ამ ხნის განმავლობაში დედამიწას შესაბამისად შემოუარეს 621 და 625-ჯერ.

მოწმენდილ ამინდში დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი შეიძლება შეუიარაღებელი თვალით დანახულ იქნეს ადგილობრივ დროით 15 ნოემბერს 65 გრადუსიდან 65 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთ განედის 40 გრადუსიდან 65 გრადუსამდე.

(საკდესი).

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი“

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოსცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა ხალხს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს

ამ დღეებში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ხალხმრავალი კრებები, მიტინგები და საუბრები, რომლებზეც განიხილავენ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას და საიუბილეო სესიის სხვა მასალებს.

კრებების, მიტინგების, საუბრების მონაწილენი ერთხმად იწონებენ და მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას, გამოთქვამენ ერთსულოვან მზადყოფნას იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას ათეული წელიწადი ალნიშნონ კიდევ უფრო შეტი — გასარჯვებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მივცეთ სამშობლოს მეცხოველეობის მეჯი პროდუქცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებმა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიმართვამ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი ახალი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია კრწანისის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის კოლექტივში. წარმატებით შეასრულეს რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები „კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

— ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა შესანიშნავი შედეგები აღაფრთოვანებს ყველა საბჭოთა ადამიანს საყვარელი სამშობლოს ძლიერების ახალი აღმავლობისათვის საბრძოლველად, — ამბობს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი მ. ციცაძე. — საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ შეასრულოს ვალდებულებანი, რომლებიც იკისრა პასუხად პარტიის მოწოდებისა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. წელს საბჭოთა მეურნეობა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღებს 470 ცენტნერ რძეს, 35 ცენტნერ ხორცს, აგრეთვე 80 ათას ქვერცხს 100 ჰექტარ ბარცვლეულის ნათესზე.

სარძეო ფერმის ბრიგადირმა კ. თურმანიძემ თქვა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებმა ყველა ჩვენთაგანში გამოიწვია მისწრაფება იმუშაოს უკეთ. მწველავები ნ. ქაჯაია, ე. კურეჩკო, მ. ივანიკოვა, მ. დინგაშვილი, ს. ციხლაძე, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს დავალება, კვლავ ადიდებენ წველადობას. ახლა ყველა მეცხოველე ჩაბმულია შეჯიბრებაში წლიურ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ ინერგება პირუტყვის მოვლის პროგრესული მეთოდები. მოწინავე მწველავები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ დანარჩენებს. (საქდესი).

იბრძვიან წარმაჯებებისათვის

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოების მშრომელებმა დიდი სიამაყის გრძნობით შეაჯამეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. საწარმოთა შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე გამოვიდა წისქვილკომბინატი, რომელმაც პროდუქციის გამოშვების 10 თვის დავალება 104,3 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით დაამზადა 4 მილიონ 300.000 მანეთის პროდუქცია, გაზარდა უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილის გამოშვება, მარტო ხორბლეულის დაფქვაზე სახელმწიფოს მილიონნახევარ მანეთზე მეტი მოგება მისცა. დიდი რაოდენობით დაზოგილია ელექტროენერგია. 4,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

როცა ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას, წისქვილკომბინატის დირექტორმა გ. ბოლქვაძემ განაცხადა:

— მთელი ჩვენი კოლექტივი უდიდესი სიამაყის გრძნობით ეცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებს. უმაღლესი საბჭოს მიმართვამ საბჭოთა ხალხებისადმი მუშების, მოსამსახურეების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდი სიხარული გამოიწვია. გამოვხატავ რა ჩვენი კოლექტივის მისწრაფებას, პირობას ვიძლევი პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ.

ერთსულოვანი მოწონება

ბუშინ თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. აქ იყვნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, რომლებმაც თავდადებული შრომით ახახელეს სამშობლო. მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით ფაბრიკამ გამარჯვება მოიპოვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მეორე ადგილზე გამოვიდა. ფაბრიკის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით 187 ტონა მზა ნაწარმი გამოუშვა.

მიტინგზე, რომელიც ჩაის საწონი საამქროს ნათელ დარბაზში გაიმართა, პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა მოწინავე მუშამ, ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. პაქსაშვილმა.

— უდიდესი სიამაყის გრძნობით ვადევნებდით თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მუშაობას, — განაცხადა მან, — ორმოცი წლის მანძილზე მთლიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სოციალიზმის აშენება, დიდ სამამულო ომში გამარჯვება საბჭოთა ხალხის უჭკნობი გმირობაა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ წლებში, წარმატებით ახორციელებს რა კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. ჩვენ, რიგითი საბჭოთა ადამიანები, თავდადებული შრომით კიდევ უფრო განვამტკიცებთ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის მოწინავე მუშას ი. ჩერნიკოვს.

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში, — ამბობს იგი, — ლენინის რაიონი ახალი ქარხნებითა და ფაბრიკებით, კულტურის კერებით დაიფარა. ოქტომბერმა დაგვიმკვიდრა ბედნიერება და სასიხარულო ცხოვრება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში შეჯამებულია ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი შედეგები, დასახულია ჩვენი ქვეყნის განვითარების ნათელი პერსპექტივები, ახალი საბრძოლო ამოცანები საბჭოთა ხალხი მამაცურად შრომობს მათი წარმატებით განხორციელებისათვის. მიმართვის პასუხად ვალდებულებას ვიღებ ყოველდღიური ნორმა შევასრულო 200 და მეტი პროცენტით.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი და საიუბილეო სესიის სხვა მასალები.

მიმართვის პასუხად ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 5 მილიონ 200 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

შთამაგონებელი პერსპექტივები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — განვახორციელოთ ჩვენი საუკუნის დიადი იდეა — კომუნიზმი. ამ სანუკვარი მიზნის მიღწევას ემსახურება სოციალისტური სამშობლოს ხალხების შრომითი აქტივობა, ნიჭი, შემოქმედება. უდიდესია მოპოვებული წარმატებანი, მაგრამ კიდევ უფრო გრანდიოზული და ლამაზი იქნება ჩვენი მომავალი. მის მოახლოებაში, აწმყოდ ქცევაში თავისი წვლილი შეაქვთ ქუთაისის საწარმოთა მუშაკებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსამსახურეებს, მეცნიერების მოღვაწეებს.

ოცზე მეტი აგიტატორი მოუთხრობს ავტომობილმშენებლებს — სიჩქარეთა კოლოფის საამქროს მუშებს იმ დიდ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, რომელიც მიღებული იყო საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ საიუბილეო სესიაზე. აგიტატორები მონდომებით განუმარტავენ ქარხნის უბრალო ადამიანებს სამშობლოს უდიდეს წარმატებებს, ახალ ამოცანებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა აყენებენ საბჭოთა ხალხის წინაშე. ისინი მთელი კოლექტივის სახელით გამოთქვამენ რწმენას, რომ ავტომობილმშენებლები აამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, კიდევ უფრო გაუთქვამენ სახელს თავიანთი ქარხნის პროდუქციას.

მშობლიური ქუთაისის მაგალითზე ბრიგადირმა ს. ჟიჟიაშვილმა ნათელყო ის უდიდესი გარდაქმნები, რაც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში განვლილ 40 წლის მანძილზე. ქარხნის კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია. მოწინავეა ის ბრიგადაც, რომელსაც ს. ჟიჟიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ იკისრა წლის ბოლომდე სამშობლოს მისცეს სულ მცირე ნახევარი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ამრავლოს საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებები.

გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება

რუსთავი. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ რუსთავის მშრომელებში უდიდესი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია.

ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის საწარმოთა და ახალმშენებლობათა ობიექტებზე იმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგები.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის ეზოში შემდგარ მიტინგზე 500-ზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. სიტყვას ამბობს ქარხნის საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიკის განყოფილების მოწინავე ზეინკალი ვ. ჭეიშვილი. მან განაცხადა:

— უმაღლესი საბჭოს მიმართვა ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ მოგვიწოდებს. თვითეული ჩვენგანი მზად არის არ დაიშუროს ძალა და ენერგია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რომ უფრო ძლიერი და მდიდარი გახდეს ჩვენი სამშობლო. 620 ტონა ზეგეგმითი მინერალური სასუქი — ასეთი იყო ჩვენი სადღესასწაულო საჩუქარი ოქტომბერში. ნოემბრის განვლილ დღეებში უფრო მაღალნაყოფიერად ვშრომობთ. მარტო ნატრიუმის გვარჯილის გამოშვების 12 დღის დავალება 117,3 პროცენტით არის შესრულებული. მიღწეულით როდი დავკმაყოფილდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მომავალში ჩვენგან უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მიიღოს დედა-სამშობლომ.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ამიაკის წარმოების ცვლის უფროსმა გ. ობოლაძემ, ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილემ ვ. ლისენკომ და სხვებმა.

ბუშინ თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა. სურათზე: სიტყვას ამბობს მოწინავე მუშა ზ. პაქსაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბინაო და კომუნალური მშენებლობის ფართოდ გაჩაღებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში შემდგარმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **გ. ჭადაგიძის** მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

პლენუმი შეიკრიბა მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს მიეძღვნა, შეჯამებულ იქნა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებების დიადი შედეგები.

— კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, — ამბობს მომხსენებელი, — დასახეს ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული გეგმები. ამ გეგმებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საბინაო მშენებლობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებაში „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ დასახულია ამოცანა უმოკლეს ვადებში მივაღწიოთ საბინაო ფონდის მნიშვნელოვან ზრდას, რათა უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოვუღოთ ბინების ნაკლებობას ჩვენს ქვეყანაში. პარტიისა და მთავრობას მიაჩნიათ, რომ ამისათვის საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარება ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო ორგანოს, მთელი საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ქალაქებსა და დაბებში სახელმწიფო სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 5 მილიონ კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ინდივიდუალურმა მენაშენეებმა ქალაქებსა და მუშათა დაბებში საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ააშენეს საცხოვრებელი სახლები 1.200 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობით. გარდა ამისა, ამავე პერიოდში კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 85 ათასი საცხოვრებელი სახლი. ამასთან უნდა ითქვას, რომ საბინაო მშენებლობის ტემპები ჩვენში ძლიერ ჩამორჩება მოსახლეობის ნამდვილ საჭიროებებს. სწორედ ამიტომ საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ საბინაო მშენებლობის შემდგომი ფართო გაჩაღებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს საბინაო მშენებლობის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა, ბევრი ორგანიზაცია და უწყება ჩამორჩა ამ დარგში. 1957 წელს მშენებლობის მასშტაბი შესამჩნევად გაფართოვდა, მაგრამ ახლაც ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია საგეგმო დავალებებს დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თბილისის სამშენებლო ორგანიზაციები.

მშენებელთა ჩამორჩენის უმნიშვნელოვანეს მიზეზებს შორის ამხ. ჭადაგიძემ აღნიშნა სამშენებლო სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია, ზუსტი დაგეგმვისა და მშენებლობის ნაკადურობის უქონლობა, ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციების გამოცდილებისა და მიღწევებისადმი უყურადღებობა. თბილისის სამშენებლო გამოფენაზე ექსპონირებულმა ცალკეულმა პროგრესულმა კონსტრუქციებმაც კი ვერ ჰპოვა გამოყენება საქართველოს დედაქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების პრაქტიკაში. ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია განსაკუთრებულ უდარდელობას და გულგრილ დამოკიდებულებასაც კი იჩენს საწარმოო ბაზების გაფართოებისადმი. სრულიად არასაკმაოა რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებისა და პოლიგონების რაოდენობა. მშენებლობებზე საკმაოდ არ იყენებენ მექანიზმებს. იშვიათი არ არის საშენი მასალების გადახარჯვა. არის ისეთი ფაქტებიც, როცა უაღრესად ძვირფასი საშენი მასალები ნიავდება.

მომხსენებელი საჭიროდ თვლის მიმდინარე წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არა სურთ ახლებურად გარდაქმნან მუშაობა. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში უნდა მოვახდინოთ მთელ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მობილიზაცია იმისათვის, რომ შევასრულოთ საბინაო მშენებლობის გეგმა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი. ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მშენებლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას.

„სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად 1956-დან 1960 წლამდე საქართველოს სს რესპუბლიკაში უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები 4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. სამუშაოთა ეს უდიდესი პროგრამა რომ განვახორციელოთ, საჭიროა მივაღწიოთ სამშენებლო ინდუსტრიის ფართოდ განვითარებას. უახლოეს წლებში განსაკუთრებით უნდა განვითარდეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება. თუ ამჟამად ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელ საწარმოთა სიმძლავრე წელიწადში სულ 90 ათასამდე კუბმეტრ ნაკეთობას შეადგენს, 1960 წელს იგი 350 ათას კუბმეტრამდე უნდა ავიყვანოთ.

წარმატებით რომ გადავწყვიტოთ პარტიისა და მთავრობის მიერ საბინაო მშენებლობის დარგში დასახული ამოცანები, საჭიროა არა მარტო მნიშვნელოვნად გავადიდოთ საშენი მასალების წარმოების მასშტაბები, არამედ განუწყვეტლივაც ვეწეოდეთ იმ ახალ, ეფექტიან ნაკეთობათა ათვისებას, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაოთა ღირებულების შემცირებას და ასაკებ შენობათა საექსპლოატაციო ჩარისხის გაუმჯობესებას. იმ მასალათა და ნაკეთობათა ნომენკლატურა კი, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს საწარმოები უშვებენ, მეტად შეზღუდულია. მომხსენებელი ასახელებს ისეთ პროგრესულ მასალებს, როგორიც არის ორგალიტი, ფიბროლიტი და სხვები, რომელთა წარმოება შეიძლება მოეწყოს და კიდევაც უნდა მოეწყოს საქართველოში. უფრო გაბედულად უნდა ვნერგავდეთ აგრეთვე მოსკოვის ბინათმშენებლების გამოცდილებას მცირე მეტრაჟის ბინებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. მომხსენებელი აღნიშნავს ქალაქ მოსკოვში ნოვიე ჩერიომუშკის რაიონის მშენებელთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის მნიშვნელობას.

პარტიისა და მთავრობის მიერ საბინაო მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების გადაჭრაში დიდი და პასუხსაგები როლი ეკუთვნით არქიტექტორებსა და დამპროექტებლებს. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მთელი რიგი ტიპური პროექტები, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ჩამოუვარდებიან მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში შემუშავებულ ტიპურ პროექტებს. ჩვენში არ ამუშავებენ და არ იყენებენ შემსუბუქებულ საკედლე კონსტრუქციებს, სახურავი პანელების თხელ კონსტრუქციებს, სახურავ რკინაბეტონს, სატიხრე პანელებსა და სხვა პროგრესულ კონსტრუქციებს. საქართველოს სსრ შენებლობის სამინისტრომ უნდა გააუმჯობესოს ტიპური დაპროექტებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველყოს საქმიანი კონტაქტი დამპროექტებლებსა და მშენებლებს შორის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას. მისმა მოცულობამ მეექვსე ხუთწლედში ერთიორად და უფრო მეტად უნდა გადააჭარბოს მეხუთე ხუთწლედის მოცულობას. მაგრამ ინდივიდუალური მშენებლები განუწყვეტლივ აწყდებიან სერიოზულ სიძნელეებს. არსებითად მათ არც საბჭოების აღმასკომები და არც საწარმოთა ხელმძღვანელები არავითარ დახმარებას არ უწევენ საშენი მასალებითა და ტრანსპორტით. ბევრი ნაკლია საშენი მასალებით ვაჭრობაში. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით შეეუწყოთ ხელი ინდივიდუალურ დ კოოპერაციულ მშენებლობას.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობასთან ერთად საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გეგმების დამუშავებისას გაითვალისწინონ ამ გეგმების შესრულების უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით.

შეეხო რა კოლმეურნეობებში საბინაო მშენებლობის საკითხებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას ადგილობრივ საშენ მასალათა მწარმოებელი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების ქსელი.

კომუნალური მშენებლობის დარგში, მიუხედავად უკანასკნელ წლებში გაწეული დიდი მუშაობისა, აგრეთვე ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა აგების ტემპები ბევრად უნდა დაჩქარდეს. მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საქართველოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა შეადგინოს კომუნალურ საწარმოთა მშენებლობის 10-15 წლის პერსპექტიული გეგმა.

შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ამხ. ჭადაგიძემ აღნიშნა, რომ 1959 წელს გაზსადენი, რომელსაც სპეციალური ორგანიზაცია „გლავგაზი“ აშენებს, მოყვანილ იქნება ნავთლუღამდე, ხოლო საქალაქო განმანაწილებელი ქსელის მოწყობა ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ამიტომ საჭიროა ამთავითვე გავითვალისწინოთ ეს გარემოება, ახლავე მოვკიდოთ საქმეს ხელი. საპროექტო ორგანიზაციებმა, აგრეთვე მშენებლებმა უნდა გაითვალისწინონ ახალ საცხოვრებელ სახლებში გაზის მისაღებ საშუალებათა მოწყობა.

საბინაო და კომუნალური მშენებლობის ახალი, უდიდესი გაქანება მოითხოვს დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ადგილებზე. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები მშენებელთა მრავალრიცხოვან არმიასთან, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივებთან ერთად მთელ ძალებს მოახმარენ იმას, რომ უკეთ გამოავლინონ და გამოიყენონ არსებული რეზერვები, ღირსეულად შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დასახული ამოცანები.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გაშუქებულ იქნა რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, გამოვლინდა არსებული ნაკლოვანებანი და დასახულ იქნა მათი უსწრაფესი ლიკვიდაციის გზები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ჩოგოვაძემ** აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის მოცულობის ნახევარზე მეტი სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და ორგანიზაციების წილად მოდის. ამავე დროს საბინაო მშენებლობის დარგში გეგმიან დავალებათა შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ხორცისა და რძის მრეწველობის და თევზის მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, საქენერგოს სამმართველოები. საბინაო მშენებლობის ჩამორჩენისათვის სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს საწარმოებს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ გულდასმით შეისწავლა მათი მუშაობა და დასახა ღონისძიებანი არსებული მდიდარი რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის. ამხ. ჩოგოვაძე დასასრულ აღნიშნავს, რომ საჭიროა, ჩვენი ქვეყნის სხვა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მაგალითისამებრ, დადაჭრას საკითხი სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის სამშენებლო ორგანიზაციების გადაცემის შესახებ და ამ ბაზაზე ჩამოყალიბებულ სამშენებლო ორგანიზაციას დაეკისროს სამრეწველო მშენებლობის წარმოება, აგრეთვე არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია და რემონტი. ქალაქ თბილისში ეს საკითხი უკვე გადაჭრილია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ნება დართო, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოში არსებული სამშენებლო სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია თბილისში სამრეწველო ობიექტების მშენებლობის წარმოებისათვის.

საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობაზე და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ე. ტაკიძემ.** მას მოჰყავს კონკრეტული ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების საკითხებს უკანასკნელ წლებამდე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. საბინაო და კომუნალური მშენებლობის სამუშაოები უფრო ფართო მასშტაბით მიმდინარე წელს გაჩაღდა. მაგრამ, როგორც ორატორმა აღნიშნა, სამუშაოები მეტად ნელა წარმოებს. ახალი საცხოვრებელი ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემა ჭიანურდება. ქალაქში ამჟამად აღმასკომისა და საუწყებო ორგანიზაციების ხაზით შენდება 25 საცხოვრებელი სახლი 20.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. ამხ. ტაკიძე სთხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საკითხი მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის „ქუთაისმშენის“ ტრესტად გარდაქმნის შესახებ იმ მიზნით, რომ ამ ტრესტმა მთელი ყურადღება მიაქციოს სამშენებლო სამუშაოებს ქალაქ ქუთაისში.

— ამჟამად ქალაქ თბილისში, — ამბობს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ა. მელაძე,** — მშენებლობის პროცესშია 230 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 100 ათასი კვადრატული მეტრი. 7 ნოემბრისათვის გადაეცა მხოლოდ 37.400 კვადრატული მეტრი და გადაცემის გაფორმების სტადიაშია კიდევ 17 ათასი კვადრატული მეტრი. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი ფართობი.

მაგრამ, აღნიშნავს შემდეგ ორატორი, მშენებლობის ტემპები მეტად ნელია. ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სამუშაოებს. თუ ისეთმა მსხვილმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, როგორიც არიან „მთავართბილისმშენი“ „საქმახტმშენი“, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციები, მუშაობა არ გარდაქმნეს, ქალაქში საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა შეიძლება ჩაიშალოს.

ამხ. მელაძე შემდეგ შეეხო საშენი მასალების დაგეგმვისა და განაწილების არსებული პრაქტიკის ნაკლოვანებებს, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების ორგანიზაციას.

პარტიის ახალციხის რაიკომის მდივანმა ამხ. **კ. კაპანაძემ** ილაპარაკა საბინაო და კომუნალური მშენებლობის ნაკლოვანებებზე, სოფელ ადგილებში. მან მართებულად გააკრიტიკა ზოგი რესპუბლიკური სამინისტრო და უწყება, საბინაო და კომუნალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, მაგრამ თითქმის არაფერი არ უთქვამს იმაზე, თუ პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი როგორ ხელმძღვანელობენ მშენებლებს, საშენი მასალების ადგილობრივი რესურსების გამოყენებას.

საბინაო მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **გ. ჯაბუამ.** ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის საშუალო ღირებულება ჯერ კიდევ მაღალია. მთლიანად რესპუბლიკაში იგი 1.450-1.500 მანეთს შეადგენს, ხოლო ქალაქ თბილისში 1.800-2.000 მანეთს აღწევს. ეს მაშინ, როცა მოსკოველმა მშენებლებმა ნოვიე ჩერიომუშკის რაიონში ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ეს ღირებულება 1.000 მანეთამდე დაიყვანეს. შემდეგ ამხ. ჯაბუა ლაპარაკობს ქალაქთმშენებლობის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებზე, როგორიც არის სამშენებლო მოედნის მიზანშეწონილად შერჩევა და ამასთან დაკავშირებული ხარჯების — მოედნების თვითსების, გზების გაყვანის, კომუნიკაციების მოწყობის ხარჯების სწორად განსაზღვრა. ამ ფაქტორებს თბილისში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ამხ. ჯაბუამ აღნიშნა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაობის ნაკლოვანებები კაპიტალურ სამუშაოთა დაგეგმვის, სამეცნიერო ორგანიზაციებში მუშაობის კოორდინაციის, საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების დარგში.

პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს რესპუბლიკის ყველაზე დიდი სამშენებლო ორგანიზაციის — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობა. ტრესტში წელს საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულება ჭიანურდება. ტრესტის ხელმძღვანელობამ მთავარი ყურადღება მიაპყრო საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ქალაქ რუსთავში და მხედველობიდან უშვებს სხვა რაიონებსა და ქალაქებში მდებარე ობიექტებს.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ამხ. **ნ. გიორგაძემ,** რომელიც კამათში გამოვიდა, დაწვრილებით ილაპარაკა ტრესტის მუშაობაზე, მაგრამ მაინც ნათელი პასუხი ვერ გასცა იმ კითხვაზე, თუ რა ღონისძიებებს იღებს იგი ქალაქ ჭიათურაში საბინაო მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

მთავართბილისმშენის მე-2 სამმართველოს დურგალთა ბრიგადირმა ამხ. **ზ. ხოფერიამ** ილაპარაკა იმის შესახებ, რომ წვრილი, ნაკლებად მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციების ეგრეთწოდებით შექმნილმა ახალმა სამშენებლო ორგანიზაციამ — მთავართბილისმშენმა უკეთ იწყო მუშაობა, თითქმის ორჯერ მეტი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს, ვიდრე მასში შემავალი ტრესტები და საუწყებო ორგანიზაციები ასრულებდნენ, რეორგანიზაციამდე. ხოფერია აღნიშნავს, რომ მშენებლები აღჭურვილი არ არიან პირველი ხარისხის ტექნიკით. — განსაკუთრებით კომპრესორა ამწეებისა და სხვა მსუბუქი მექანიზმების დიდ ნაკლებობას განვიცდით, — ამბობს ივი, — რაც ბალენსას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. არ გვყოფნის ავტომანქანები. ეხება რა საშენი მასალების ხარისხს, ორატორი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ იღებენ უხარისხო, ნედლ ხე-ტყეს.

უკანასკნელ ხანებში ადგილობრივმა საბჭოებმა გამოაცოცხლეს მუშაობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ჩუბინიძემ** დაახასიათა ადგილობრივი საბჭოების როლი სოფლად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რასაც ეწევა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ მიმართულებით. ამხ. ჩუბინიძემ პლენუმის მონაწილეებს მოუთხრო მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ინიციატივის შესახებ. ამ რაიონში შეადგინეს კულტურული მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია თავიანთი თანხებითა და ძალებით 1958-1960 წლების განმავლობაში ააგონ 16 სკოლა, 13 საავადმყოფო და საექიმო პუნქტი, 7 საფოსტიაქო შენობა, 50 სბავშვო ბაღი და ბაგა, 17 აბანო, 22 კულტურის სახლი, დაახლოებით 573 კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლი. აგრეთვე გააკეთონ გზები, გაიყვანონ წყალსადენი და შეასრულონ რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები.

ამხ. ჩუბინიძე მოუწოდებს რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ მახარაძელთა კეთილშობილურ თაოსნობას.

ქალაქების მცხოვრებთა კომუნალური მომსახურების საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი ამხ. **დ. ივაშჩენკო.** მან პლენუმის ყურადღება მიაქცია მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა გაძლიერების, აგრეთვე საბჭოთა არმიის თანდარიგის ოფიცერთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის გაძლიერების საჭიროებას.

— მარგანეცის მრეწველობაში საბინაო ფონდის სიმცირე, — ამბობს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი ამხ. **შ. შეყლაშვილი,** — ძირითადად გამოწვეულია სამშენებლო ორგანიზაციების სუსტი მუშაობითა და მშენებლების მიმართ ჩვენი ტრესტის სამმართველოს ნაკლები მომთხოვნელობით. ჭიათურაში სამრეწველო და საბინაო მშენებლობას აწარმოებს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი, რომელსაც არც ერთხელ არ შეუსრულებია ჭიათურაში ბინათმშენებლობისა და სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა. უფრო ცუდი მდგომარეობაა კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში.

ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ორატორი მკაცრად აკრიტიკებს მეტალურგმშენის ტრესტის ხელმძღვანელობას, რომელსაც, როგორც ჩანს, მარგანეცის მრეწველობისათვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობა არ მიაჩნია თავის ძირითად მოვალეობად, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

შეეხო რა უკანასკნელ წლებში აფხაზეთის ქალაქებსა და მუშათა დაბებში საბინაო მშენებლობის მდგომარეობას, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ბონდარევმა** ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც გასწიეს ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დაწესებულებების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაკავებულ შენობებში ზედმეტი ფართობის განთავისუფლებისა და საცხოვრებელ ბინებად გადაკეთებისათვის. ამგვარი წესით შარშან და წელს გაათავისუფლეს, გადააკეთეს და მობინადრეები ჩაასახლეს 8 ათასი კვადრატული მეტრის შემცველ საცხოვრებელ სახლებში.

აფხაზეთში ჩამორჩება საბინაო და კომუნალური მშენებლობა. ამხ. ბონდარევი ანალიზს უკეთებს მიმდინარე წლის გეგმების შეუსრულებლობის მდგომარეობას, აკრიტიკებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-6 ტრესტისა და მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელებს, რომლებიც თუმცა ჩადიან ადგილებზე, მაგრამ პრაქტიკულად არ ეხმარებიან, მათი იქ ყოფნა კვალს ვერ ტოვებს მშენებლების მუშაობაზე.

საბინაო მშენებლობაში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის, როგორც აღნიშნა ამხ. ბონდარევმა, პარტიის საოლქო კომიტეტმა გულდასმით შეისწავლა მდგომარეობა სამშენებლო ორგანიზაციებში, ჩაატარა მშენებლების რესპუბლიკური თათბირი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით.

ამხ. **ს. ლორთქიფანიძემ,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა, პლენუმზე თავის გამოსვლაში დაახასიათა სამინისტროს სისტემაში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა საბინაო მშენებლობის დარგში. მაგრამ ყოველივე ამასთან არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებათა მიღებას აპირებს სამინისტრო მშენებლობის კულტურის ამაღლებისათვის, ინდუსტრიული მშენებლობის მეთოდების ფართოდ დანერგვისა და არსებული რეზერვების უკეთ გამოყენების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, რომელიც ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში დიდი მოცულობის საბინაო მშენებლობას, მოვალეა გააკეთოს ყოველივე, რაც მასზეა დამოკიდებული, საბინაო მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმის შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ა. ლაბახუამ** აღნიშნა, რომ წელს განვლილ თვეებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბინათმშენებლებმა მუშაობის ტემპი ამაღლების ნაცვლად საგრძნობლად შეანელეს, განსაკუთრებით საცხოვრებელი ფართობის ჩაბარებაში. მაგალითად, შარშან 9 თვეში ბინათმშენებლებმა საცხოვრებლად გადასცეს 94.800 კვადრატული მეტრი, ხოლო წელს შესაბამის პერიოდში — 8.700 კვ. მეტრით ნაკლები. ამხ. ლაბახუამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ადგილობრივი რაიონული საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები მშენებლებს არ უწევენ დახმარებას, რის გამო ხშირად სამშენებლო ობიექტებზე არ ჰყოფნით დამხმარე მუშახელი. ხაშურში საცხოვრებელი სახლის მშენებლებს დამხმარე მუშახელის მოყვანა ბორჯომიდან მოუხდათ, ვინაიდან ადგილობრივ ვერ გამონახეს მუშახელი.

რესპუბლიკაში კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და საშენი მასალების ადგილობრივი რესურსების გამოყენების საჭიროების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრმა ამხ. **კ. ბარიგიანმა.**

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კომუნალურ მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა თანხა საგრძნობლად გაიზარდა და 376 მილიონ მანეთის მიაღწია. მარტო უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში წყალსადენების გაყვანას მოხმარდა 30 მილიონი მანეთი, ელექტრომეურნეობის გაფართოებას — 12 მილიონი მანეთი, სასტუმროების მშენებლობას — 16 მილიონი მანეთი. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკამ ამ ავაქვს ყველა საშენ მასალა. [illegible] ადგილობრივი საშენი მასალები და თავი ავარიდოთ ისეთ მდგომარეობას, როცა კირი, აგური და სხვა ძირითადი საშენი მასალები ერთი რაიონიდან სხვა შორეულ რაიონში შეგვაქვს. მაგალითად, ახალქალაქში 8-ბინიანი სახლის აგება დაპროექტებულია აგურით, რომელიც ხაშურიდან ან ახალციხიდან უნდა შევზიდოთ, თუმცა იქვე, ახალქალაქში უხვად მოიპოვება საშენი ქვა. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ უკვე დასახა ღონისძიებები ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გაფართოებისათვის.

— საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობამ,—განაცხადა პლენუმზე საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **გ. ხომერიკმა,**—განვლილი 10 თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულა. მაგრამ რესპუბლიკის მშენებლობებზე მაინც მწვავედ იგრძნობა საკედლე და სახურავი მასალების ნაკლებობა. ორატორმა საჭიროდ მიიჩნია დაჩქარდეს აჯამეთისა და ავჭალის სილიკატური აგურის ქარხნების აგება, რისთვისაც მთელი მოწყობილობა უკვე დიდი ხანია მიღებულია, დაჩქარდეს აგრეთვე კრამიტის ქარხნებისა და თაბაშირის სამშენებლო დეტალების საწარმოს მშენებლობა, ხუდონის თაბაშირის კარიერის მოწყობა. ამხ. ხომერიკი დაწვრილებით შეჩერდა აგრეთვე რესპუბლიკაში ტუფისებრი ქვის კარიერების გამონახვის, საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნისა და საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის კაპიტალური მშენებლობის გაფართოების საჭიროებაზე.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. მჟავანაძემ.**

— დღეს ჩვენ განვიხილავთ, — თქვა მან, — უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს — რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს. ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი გვაქვს. საბინაო და კომუნალური მშენებლობის დარგში უთუოდ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ ახლა ამის მიხედვით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ უნდა ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რამდენი მშრომელია ბინის საჭიროებას რომ განიცდის თბილისში და რესპუბლიკის ქალაქებში, რამდენია ისეთი, რომელსაც საბინაო პირობების გაუმჯობესებაში დახმარება უნდა გავუწიოთ. ამის შესაბამისად უნდა გავაკეთოთ დასკვნები და მივიღოთ ყველა ღონისძიება, რათა საბინაო მშენებლობის გაფართოებისათვის დასახული გეგმა უთუოდ შესრულდეს. ეს არის უწინარეს ყოვლისა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმე.

შემდეგ ამხ. ვ. მჟავანაძე შეჩერდა საშენი მასალების წარმოების საკითხზე და აღნიშნა, რომ წინათ ზოგ რაიონში, მაგალითად, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონებ

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ზეიმი

დიმიტრი გულია აფხაზეთის სახალხო პოეტი

საოქტომბრო

ორმოც წელიწადს როდესაც გავსცდი,
თითქოს წერტილი დავუსვი იმედს;
იყო ცხოვრება მძიმე და მკაცრი,
უღელში ვიყავ შებმული კაცი
და მივდიოდი აღმართზე მძიმედ.
თუმც ვერასოდეს ვერ მღლიდა გარჯა,
ვიგრძენ, დღეები შემომეხარჯა;
ვიგრძენ, მრჩებოდა ეს ერთი წელი,
ისე ვით გროში უკანასკნელი,
ისე ვით წყარო
სულ ერთი პეშვი...
თითქოს არ ჩანდა მხსნელი არსაით
და აფხაზეთის ბედის ვარსკვლავიც
განწირულივით ბუტაკვდა ბნელში.
ხომ შეიძლება ვერ დაინახო,
ბედნიერება, მოსული ახლოს?
ხდება; ბედისკენ გზაც აღარ იცი,
ის კი მოსულა, კარებთან გიცდის!
ო, სწორედ ასე მე დამემართა;
როცა კინაღამ დავეცი მართლაც,
როცა მეგონა გამსრესდა ბნელი,
კალამს კინაღამ გავუშვი ხელი...
ელვამ, წკვარამს რომ მახვილი ჩასცა,
აღმაფრთოვანა, წინ გამიტაცა!
იმ ოქტომბერში,
იმ გრიგალებში,
მე განახლების ვნახე ცისკარი!
განა მოვხუცდი? დაბლა დავეშვი?
წინ მივიჩქარი,
წინ მივიჩქარი.
მე, აფხაზეთის კვირტს რომ ვიცავდი,
მისი გაფურჩქვნა ამ დრომ მაღირსა
და უკვდავების წყაროდ ვიცანი
ბედნიერება ჩემი ხალხისა.
ოთხმოცმა წელმა თუმც დამამძიმა,
გულს სიჩაუქე როდი ჩაუქრო,
ჩემი თვალები დრომ და მანძილმა
გაამახვილა უფრო და უფრო.

სურათზე: პოეტი დ. გულია პიონერებთან.

• • •

მე, აფხაზეთის შვილს და ამაგდარს,
ბედის ვარსკვლავი მახარებს მისი,
იგი გაბრწყინდა,
იგი ამაღლდა,
იცავს ოქტომბრის მზე მარადისი.
განა მოვხუცდი? ჟამი ვერ შემცვლის;
ჭაღარა რაა?
გვირგვინი ვერცხლის!
წინ მივიჩქარი, ჩამდგარი რიგში,
ოთხმოცი წელი ვერაფერს მიშლის.
ქვეყნად სიბნელის დამამხობელი
დროშა მახარებს, ლაღად გაშლილი,
ძმაზე ღვიძლია და ახლობელი
ჩემი სამშობლო — ხალხთა კავშირი.
დროშა მახარებს — ქვეყნის ცისკარი,
მე მას მივყვები,
წინ მივიჩქარი.
დიდი ოქტომბრის მზემ მარადისმა,
კვლავ ჭაბუკური ძალა მაღირსა.

თარგმნა **შოთა აკოგიამ.**

შემოქმედებითი ანგარიში

სოხუმის დრამატული თეატრის კოლექტივმა დიდი შემოქმედებითი ანგარიში უნდა ჩააბაროს თბილისელ მაყურებელს აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში. ჩვენი თეატრი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა და გაბვითარდა. საქართველოს დედაქალაქის მშრომელები ნახავენ ამ ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივის გაზრდილ შემოქმედებას.

წინათ, რევოლუციამდე, აფხაზებს ეროვნული თეატრი და დრამატურგია არ ჰქონდათ. ახლა აფხაზი ხალხი მშობლიურ ენაზე ეცნობა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს, თანამედროვე საბჭოთა პიესებს, მათ შორის აფხაზი მწერლების დრამატურგიულ ნაწარმოებებს. ეს არის ჩვენი ხალხის დიდი მონაპოვარი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი შედეგი.

აფხაზური დრამის კოლექტივი დეკადის დღეებში თბილისელ მაყურებელს უჩვენებს სამ სპექტაკლს: უ. შექსპირის „ოტელოს“, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატს“ და შ. ფაჩალიას პიესა „გუნდას“.

სპექტაკლ „ოტელოში“ მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. კასლანძია (ოტელო), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. ფაჩალია (იაგო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. არგუნი (დეზდემონა), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. შაკირბაი (ემილია), აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ი. კოკოსკერია (კასიო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რ. აგრბა (როდერიგო), აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ს. კობახია (ბრაბანციო), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. კოვე (დოჟი).

პიესა „ღალატი“ სადეკადო რეპერტუარის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თვალსაჩინო მსახიობები. სპექტაკლ „გუნდაში“ მაყურებელი გაეცნობა თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს.

ჩვენ დავრაზმავთ მთელ შემოქმედებითს ძალებს, რათა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე ღირსეულად ჩავაბაროთ სერიოზული შემოქმედებითი გამოცდა.

ა. აგრბა,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

რეპროდუქცია მხატვარ ნ. თაბუკაშვილის სურათისა „რიწის გზაზე“.

• • •

რით მოვდივართ დეკადაზე

ჩვენი მხატვრები

ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის თბილისში აფხაზეთის მხატვრები მთელი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ. სადეკადო გამოფენაზე ექსპონირებულია 200-ზე მეტი ნამუშევარი.

ბატალურ-ყანრული ხასიათის ნაწარმოებებით გამოფენაზე წარსდგებიან მხატვრები ი. ცომაია, ვ. შჩეგლოვი და ჭ. კუკულაძე; პეიზაჟურ ფერწერას წარმოადგენენ ო. ბრენდელი, ნ. თაბუკაშვილი, ი. შენგელაია, ი. ცომაია და სხვები, დეკორაციულ ხელოვნებას — მხატვრები ნ. უაზბეგი და ა. ვერულეიშვილი, გამოყენებითს ხელოვნებას — კ. ნიკოგოსიანი და ნ. მასტიცკაია, ხოლო კერამიკას — მ. კიკვიძე. ქანდაკება წარმოდგენილი იქნება ბ. ღოღობერიძის, ა. რაზმაძისა და გ. რუხაძის ნამუშევრებით.

თემატიკურ-ყანრული სურათებიდან განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ი. ცომაიას ნაწარმოები — „ორჯონიკიძე და ლაკობა ნადირობაზე აფხაზეთში“, რომელიც გამოირჩევა ფერწერული ოსტატობით.

სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის აღზრდილთა შორის თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია მხატვარმა ვ. შჩეგლოვმა, რომელიც გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებით როგორც თემატურ, ისე პორტრეტულ და პეიზაჟურ ყანრში. აღსანიშნავია მისი უკანასკნელი ნაწარმოები „ავდაყება ლიხნში“. აფხაზეთის პეიზაჟისტებს შორის მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია მხატვარმა ო. ბრენდელმა. გამოფენისათვის მან მოამზადა მთელი რიგი მშვენიერი ზღვის პეიზაჟები. აღსანიშნავია მხატვარ ნ. თაბუკაშვილის აფხაზეთის პეიზაჟები, რომლებიც მშობლიური ბუნების საუცხოო ცოდნით გამოირჩევიან, აგრეთვე ახალგაზრდა მხატვრის ი. შენგელაიას პეიზაჟები და მხატვარ ვ. ევროპინას ყანრული ნაწარმოებები.

თემატურ სურათებს გარდა გამოფენილი იქნება მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებები.

ჭ. კუკულაძე,
საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე.

რით მოვდივართ დეკადაზე

მწერალთა წვლილი

ჩვენი მწერლების მზადება აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან მეორმოცე წლისთავს დაემთხვა.

დეკადაზე ნაჩვენები იქნება აფხაზი ხალხის კულტურის მონაპოვარნი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ეს არის პირველი სახისაერთო შემთხვევა, როცა აფხაზი ხალხი კულტურის ფრონტზე თავის შესანიშნავ მიღწევებს ფართოდ გაიცნობს ქართველ საზოგადოებრიობას. ამ დიდი ღონისძიებისათვის მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებოდა რესპუბლიკის ყველა შემოქმედებითი მუშაკი — მწერალი, მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი, ხალხური შემოქმედების ოსტატები, თვითმოქმედი კოლექტივები.

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის.

დეკადაზე წარმოვადგენთ ჩვენი მწერლების ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც ფართოდ არის ასახული აფხაზი ხალხის ცხოვრება.

თბილისში ქართულ ენაზე გამოცემულია აფხაზ მწერალთა წიგნები. ამით ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა აფხაზეთის ახალგაზრდა მხატვრულ ლიტერატურას. თბილისელი მკითხველი კარგად იცნობს აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას შემოქმედებას. მისი რომანი „კამაჯიჯი“ გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. ასევე კარგად მიიღო მან ცნობილი აფხაზი პროზაიკოსის ივანე პაპასკირის რომანი „თემირი“ და ჩვენი პოეტების ახალი ნაწარმოებები.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის თბილისში გამოიცა ცნობილი აფხაზი მწერლის სამსონ ჯანბას რომანი „სეიდიყი“, ბაგრატ შინკუბას რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულენი“, პირველი ნაწილი ივანე პაპასკირის რომანისა „ქალის ღირსება“, ივანე თარბას ლექსების კრებული „ორი ზღვა“ და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი კულტურული მოვლენა იყო აფხაზური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიების გამოცემა ქართულ ენაზე. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინადღეებში სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს აფხაზური პოეზიის ანთოლოგიას.

კ. ლომია,
აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

აფხაზეთის კულტურის აღმავლობა

★

მ. ბლაჟბა,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

★

დიდი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნეს აფხაზეთის მშრომელებმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი. მუშები, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აფხაზმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, რუსი და ქართველი ხალხებისა და ჩვენი თვალუწვდენი საშშოლოს სხვა ხალხების დახმარებით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

წარსულში აფხაზეთი კულტურულად ძალზე ჩამორჩენილი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისამდე მას არ ჰქონია არც ერთი სასწავლებელი. რევოლუციამდე მამაკაცებს შორეს წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენდნენ დაახლოებით 15 პროცენტს, ხოლო ქალებს შორის — მხოლოდ 4 პროცენტს. 1904 წელს სახალხო განათლების ყველა საჭიროებისათვის მეფის მთავრობამ ყოფილი სოხუმის ოლქის ბიუჯეტით გაიღო მხოლოდ 800 მანეთი, რაც ერთ სულ მოსახლეზე მეოთხედ კაპიკსაც არ შეადგენდა.

რევოლუციამდე აფხაზეთში იყო მხოლოდ 3 საშუალო სკოლა. ამჟამად კი 442 სკოლაა, მათ შორის 96 საშუალო სკოლა. სკოლებში 65 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს.

აფხაზეთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ ერთიან და მეგობრულ ოჯახად თავდადებით შრომობენ აფხაზები და ქართველები, რუსები და უკრაინელები, სომხები და ბერძნები, ესტონელები და ბევრი სხვა. თვითეული ეროვნების ბავშვებს შეუძლიათ თავიანთ დედაენაზე ისწავლონ.

სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან შექმნილია აფხაზური ენისა და ლიტერატურის სექტორი, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს აფხაზური სკოლებისათვის.

აფხაზეთში არის აფხაზური, ქართულ-რუსული, სომხური შედაგოგიური სასწავლებლები, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, მუსიკალური სასწავლებელი, მუსიკალური, სამხატვრო და საფერწერო სკოლები.

იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი. ახლა აფხაზეთში მუშაობს ათობით სასოფლო და საქალაქო კლუბი, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები. უკანასკნელ ხანს აშენდა ახალი ორდარბაზიანი კინოთეატრი გაგრაში. შენდება კულტურის სახლი ოჩამჩირეში და კულტურის სასახლე ტყვარჩელში. ახლა ყოველწლიურად სახალხო განათლების საჭიროებისათვის აფხაზეთის ბიუჯეტით იხარჯება 100 მილიონ მანეთზე მეტი.

თუ რევოლუციამდელ აფხაზეთში გამოდიოდა მხოლოდ ერთი გაზეთი რუსულ ენაზე, ამჟამად გამოდის 3 საოლქო და 7 რაიონული და საქალაქო გაზეთი აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. გამოდის ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ალაშარა“, სამბავშვო ჟურნალი „ამცაბზ“, რეგულარულად გამოდის ლიტერატურული ალმანახები, აგრეთვე „აფხაზეთის კოლმეურნის ბიბლიოთეკა“.

აფხაზეთის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის უმაგალითო აყვავება შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის მეოხებით. ადგილობრივი კულტურული კადრების შემოქმედებითსა და იდეურ ზრდას ხელს უწყობენ მეცნიერები, მუსიკოსები, რეჟისორები და მსახიობები, რომლებიც სოხუმში ჩამოდიან თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირიდან.

აფხაზეთში, სოხუმის სახელმწიფო თეატრში ნაყოფიერად მუშაობენ აფხაზური და ქართული დრამის კოლექტივები, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის მშრომელებს შორის კულტურის პროპაგანდის დარგში.

უკანასკნელ წლებში სოხუმის თეატრის სცენაზე კლასიკურ და ისტორიულ პიესებთან ერთად დაიდგა მთელი რიგი საბჭოთა დრამატურგების პიესები, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აფხაზი ავტორების ნაწარმოებებს თანამედროვეობის თემაზე.

დიდია ხელოვნების ერთ-ერთი მკაფიო, ემოციურად ამაღელვებელი სახის — მუსიკის როლი მასების მხატვრულ და ესთეტიკურ აღზრდაში. აფხაზეთში გვაქვს მუსიკალური პროპაგანდის ბევრი სახე: სახელმწიფო ფილარმონია თავისი შემოქმედებითი კოლექტივებით, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. გუმბა ხელმძღვანელობს, აგრეთვე მუსიკალური სასწავლებელი და ხუთი მუსიკალური სკოლა.

პირველად 1957 წელს სსრ კავშირის მუსიკალური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა აფხაზური სიმღერების კრებული. ამ კრებულში შევიდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, საბჭოთა ადამიანების პატრიოტული საქმეებისადმი მიძღვნილი სიმღერები. კრებულში ბევრი სიმღერა მიძღვნილია აფხაზეთის რევოლუციონერებისა და სახალხო გმირებისადმი.

ხელოვნების მუშაკთა ადგილობრივი, აფხაზი კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას გვიწევენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები.

აფხაზეთის ლიტერატურაში წამყვანი ადგილი უჭირავთ პოეტებს. მიუხედავად ხანდაზმულობისა ნაყოფიერად მუშაობს აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. ი. გულია.

აფხაზური პროზის განვითარებაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ ი. პაპასკირის მოთხრობები. შარშან გამოიცა მისი წიგნი, რომელმაც მკითხველთა დიდი მოწონება დიმსახურა.

უკანასკნელ ხანს გამოიცა აგრეთვე მ. პაპასკირის, ტ. გურჯუას და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებები.

მნიშვნელოვნად გაფართოდა და გაუმჯობესდა აფხაზეთის მხატვართა თემატიკა. მხატვრებმა განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების მუშაკები აფხაზური-ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის, რომელიც ქალაქ თბილისში იმართება, ემზადებოდნენ როგორც დიდი დღესასწაულისათვის. ამ დეკადაზე ისინი აჩვენებენ აფხაზი ხალხის, აფხაზეთის ყველა მშრომელის იმ შესანიშნავ მიღწევებს ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

აფხაზური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა აფხაზი ხალხის შემოქმედებითი ძალების ახალი აყვავების სტიმული იქნება და უეჭველად შეუწყობს ხელს აფხაზ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს შორის სოციალისტურ ინტერნაციონალურ ურთიერთობათა ნამდვილ ნაყოფიერ მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

აფხაზეთის მშრომელები კომუნისტური პარტიის მზრუნველობით გარემოსილნი კვლავაც ენერგიულად იმუშავებენ იმისათვის, რომ ახალ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ აფხაზეთის კულტურა. ეს იქნება ღირსეული წვლილი დიდ საერთო-სახალხო საქმეში — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ვუმღერით შრომას, შრომის ადამიანებს

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა ჩვენი ანსამბლის სერიოზული შემოწმებაა. ვემზადებოდით რა ამ დიდი ღონისძიებისათვის, აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივის ყველა წევრი მთელი ენერგიით მუშაობდა.

ჩვენი ანსამბლის რეპერტუარი ძირითადად ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით არის წარმოდგენილი.

ფართო ადგილი ჩვენს რეპერტუარში უჭირავს თანამედროვე თემის ამსახველ სიმღერებს — პარტიაზე, მშვიდობაზე, საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, შრომის გმირებზე, ჩაის მოწინავე მკრეფავებზე, აგრეთვე ყანრულ და იუმორისტულ სიმღერებს.

რეპერტუარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ხალხებისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სიმღერებსა და ცეკვებს. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული სიმღერები და ცეკვები.

წლების მანძილზე ანსამბლში აქტიურად მუშაობენ და ჩვენი ანსამბლის რეპერტუარს ახალი სიმღერებით და ცეკვებით ამდიდრებენ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. მიქავა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ბიბილეიშვილი, წამყვანი სოლისტი და დირიჟორი ვ. სიჭინავა და მთელი რიგი ნიჭიერი სოლისტები. ანსამბლში ჩამოყალიბებულია აფხაზეთის მუსიკის ინსტრუმენტული ჯგუფი.

რ. გუმბა,
ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.



სურათზე: აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) ჯ. მიქვაბია, ჭ. კუკულაძე, კ. ჩაჩხალია, მ. კოვე, ნ. მიქაშავიძე, ფ. დგებუაძე ფულარია, ლ. კასლანძია, ი. პაპასკირი, ა. ლასურია, თ. ბოლქვაძე, ბ. შინკუბა, შ. ფაჩალია, თ. ელბაქიძე, ა. აგრბა, შ. აკობია, ი. კაკულია, ჯ. ჯონუა, რ. აგრბა, შ. წვიუბა, ჭ. ჯონუა.

ფოტო გ. კვირკველიასი.

ქიაზიმ აგუმაა



მკერდი გახსნია ყვავილებს მთისას
და ყოველ მათგანს ეხუტებს ქარი,
ცას ღრუბლის თეთრი მანდილი ნისლავს,
ისფერ მოლზე ამშრალა ცვარი.
ანკარა წყარო მთის უბეს სერავს
და უზარმაზარ ლოდებს ეხვევა,
ეხვევა, მერე იფეთქებს ჩქერად
და სადღაც ხევში ჩაიჩეხება.
ბექზე დამდგარა აფხაზი მწყემსი,
ჯოგს რომ აძოვებს შეფენილს შავად,
და ხალამურის უცნაურ კვნესით
გალობს წარმტაცად, გულდახაწვავად.
არა სძოვს ჯოგი, თითქოსდა მასაც
ხიბლავდეს ეს ხმა ნაზად რხეული,
მწყემსი კი ისევ, ქანდაკის მსგავსად
დგას... მთებს გაჰყურებს დარდმორეული.
ო, ვისზე იწვის ვაჟკაცი მარტო,
რად მისცემია სევდიან ფიქრებს;
ნეტავ რას დარდობს, ნეტავ რას ნატრობს?
ლამაზ ასულზე ოცნებობს იქნებ!

• • •

ტყიურთაც ვეღარ იხილავ თვალით,
ხევს არ აჩქამებს კვალი ირმისა,
ბუნებას შველას შესთხოვს კანკალით
შველი გულმფრთხალი და უელყირმიზა.
მწვანედ გადაშლილ ბატარა გორაკს
თავს დასტრიალებს ფარფატა ქარი...
და ამ დროს ვაჟი რამ აათრთოლა,
რამ აღელვა მარტოკა მდგარი?
ეს როგორ მოხდა? — ჭაბუკი მწყემსი
საიდან გაჩნდა მტრების ალყაში?
უმზერს თვალთაგან დაღვრილი გესლი,
მუზარადთა და ხიშტთა კაშკაში.
ძახილი: „შესდექ, ნუ გითრთის მკერდი,
დღეს შენი ბედის ვარსკვლავი ბრწყინავს,
ამბობენ აქეთ გზა მიდის ერთი,
და, როგორც სტუმრებს, გაგიძღებ წინა!“
მწყემსმა ქვას დაჰკრა ხელჯოხი ბრაზით,
აენთო თვალი — ზიზღის მთოველი.
იფიქრა: მტანჯავს ალბათ მირაჟი,
ანუ ზღაპარში ხდება ყოველი!
ხევში მდინარე წყალამღვრეული
მიჰქრის და იმის შმაგი დინება,
ფაფარაყრილი, გადარეული,
აღარ მშვიდდება...

• • •

მომხდურებს კუშტად მიუძღვის ვაჟი
და აქვითინებს ხალამურს ისევ,
ცა და ქვეყანა მის ნათელ ხმაში
ტკბილ ავნანურ მოძახილს: ისმენს.
გულით ხარობენ მტრები წყეულნი,
ბილიკს მისდევენ მეგზურთან ერთად...
ასე მივიდნენ კვალარეულნი
კედლად ამართულ ციცაბო კლდესთან.
აფხაზი ამბობს: ხომ ხედავთ ნაპრალს,
თოკით მომებით, თუ წინსვლა გინდათ,
მომებით თოკით! მომყევით სწრაფად,
თორემ საცაა დღე იქცეს ბინდად!
ერთურთს მიბმულნი გაჰყვნენ გზას უგზოს,
მიუძღვის მწყემსი თამამად, ლაღად.
და თანამგზავრებს ხმამაღლა უხმობს:
— ხტუმარკაცებო, ნუ უკრთით დაღლას!
ხალამო დგება ამო და მშვიდი,
ხევიხევ დაჰქრის ფრთამალი ქარი,
დეკკაციებივით მკერდგადაშლილნი
გარინდებულან კოკასის მთანი.
— მწყემსო, ხად არის ფიცი და აღთქმა,
თუ დაიბენი ამ ტიალ გზაში? —
გადაგვატარე ხეობას ხაშიშს —
ბედნიერებას მოიხვეჭ ახლა.
ქარაფზე გაჩნდა აფხაზი იმ წამს,
ჩახედა ბნელს და შესძახა მკაცრად:
— მე არა ყიდი მშობლიურ მიწას,
რომლის ძუძუთი გავზრდილვარ კაცად!
ქიმზე სათუთად დასდო ხაკრავი
და გადაეშვა მოწყვეტით ბრამში,
თან გაიყოლა ხუთი მტარვალი
და მთის მდინარის ტალღების ტაში.

★

...მას მერე კლდეზე დევს ხალამური
და რომ შეარხევს ნიავი ფრთხილი,
ისმის სიმღერის ხმა ხაამური,
როგორც იმ მწყემსის გალობა ტკბილი.

თარგმნა **ხუტა ბერულავამ.**

ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვის მომწყობი კომისიის ცნობა

პრაღა, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის სახელმწიფო დაკრძალვა მოხდება 18 ნოემბერს, პრაღის კრემლის ესპანურ დარბაზში შესვლა, სადაც დაიდგმება განსვენებულის კუბო, დაიწყება 17 ნოემბერს დილის 8 საათიდან და გაგრძელდება საღამოს 20 საათამდე და 18 ნოემბერს დილის 7 საათიდან დღის 11 საათამდე. 18 ნოემბერს შუადღეზე დაკრძალვის ცერემონია დაიწყება საჯარო-სამგლოვიარო მიტინგით ესპანურ დარბაზში. სამგლოვიარო კორტეჟი გავლის პრაღის ქუჩებით. პრაღის მოსახლეობა ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის გამოეთხოვება ვაცლავის მოედანზე. იმავე დღეს საღამოს მოხდება გარდაცვალებულის ნეშტის კრემაცია პრაღის კრემატორიუმში.

ირანის სენატმა მოიწონა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება ფრანზიზის შესახებ

თეირანი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც 13 ნოემბერს გაზეთი „ეთელაათი“ იუწყება, სენატის ღია სხდომაზე მოხდა მეორე წაკითხვა საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმებისა ტრანზიტის შესახებ. გამოვიდა რა შეთანხმების მხარდასაჭერად, სენატორმა ნიკპურმა განაცხადა: „დიდ სიხარულს და კმაყოფილებას გამოვთქვამ ამ შეთანხმების დადების გამო და მიმაჩნია, რომ ეკონომიური თვალსაზრისით იგი ხელსაყრელია როგორც ირანისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის...“

კამათის შემდეგ სენატმა მოიწონა შეთანხმება.

ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა

ბრიუსელი, 14 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთმა „დრაპო რუჟმა“ გამოაქვეყნა ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა ბელგიის სოციალისტური პარტიის წევრებისა და აქტივისტებისადმი. პოლიტბიურო მოუწოდებს, რომ გაერთიანდნენ მშრომელი სოციალისტები და კომუნისტები მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მოგმართავთ რა თქვენ, ამხანაგო სოციალისტებო, ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, ჩვენ ვესწრაფვით მხოლოდ ერთ რამეს: მეტ სოციალურ სამართლიანობას, ომის საფრთხის თავიდან აცილებასა და მშვიდობის განმტკიცებას, ბელგიის შინაპოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებას მუშათა მოძრაობის გაძლიერებით მორიგი პარლამენტის არჩევნების მომენტისათვის.

ფინეთის მთავრობის შედგენის გამო

ჰელსინკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პროფესორმა ვ. ი. სუქსელაინენმა, რომელიც აგრარულმა კავშირმა კვლავ დაასახელა კანდიდატად პრემიერ-მინისტრის პოსტზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, შვედთა სახალხო პარტიისა და ფინეთის სახალხო პარტიის წარმომადგენლებთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ დღეს განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს, რომ იგი თანახმაა შეადგინოს ოთხპარტიული მთავრობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. სხდომის დასაწყისში ასამბლეის თავმჯდომარემ მუნრომ (ახალი ზელანდია) სამძიმარი გამოუცხადა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების გამო. დელეგატებმა ა. ზაპოტოცკის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი დუმილით.

ასამბლეა შეუდგა მიმდინარე საქმეებს და დაამტკიცა შეთანხმება, რომელიც აწესრიგებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ურთიერთობას. რეზოლუცია შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რომელიც 18 ქვეყნის (მათ შორის ინგლისის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და ინდოეთის) დელეგაციებმა წარადგინეს, მიღებულ იქნა ერთხმად. სწორედ ასევე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რწმუნებას ანიჭებს სთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები სამართლის საკითხებზე.

ასამბლეამ განუხილველად ერთხმად დაამტკიცა პოლიტიკური კომიტეტის რეზოლუცია ატომის რადიაციის მოქმედების საკითხზე.

შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა განიარაღების საკითხის განხილვას.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გუშინ საღამოს ქალაქ ოკლაჰომა-სიტში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიუძღვნა „ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების უფრო ფართო აზრით“. სიტყვის აზრი იმით ამოიწურა, რომ მან გაამართლა შეუკავებელი გამალებული შეიარაღება და სცადა კონგრესისათვის თავს მოეხვია მომავალი 1958-1959 საფინანსო წლის კიდევ უფრო გაბერილი სამხედრო ბიუჯეტი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს თავის სიტყვაში არ შეეძლო არ ეღიარებინა საბჭოთა კავშირის მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები. მაგრამ გამალებული შეიარაღების გასამართლებლად, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ, პრეზიდენტი ამტკიცებდა, თითქოს ეს მიღწევები... „საფრთხეს უქმნიან ყველა თავისუფალ ადამიანს“. საბჭოთა კავშირის მოწოდება მშვიდობიანი შეჯიბრებისა და თანაარსებობისადმი ეიზენჰაუერს მიაჩნია „გაბოროტებულად“ და „მუქარად“ შეერთებული შტატების მიმართ. გამოსავალად ეიზენჰაუერი მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა გაუსწორონ საბჭოთა კავშირს უწინარეს ყოვლისა „სამხედრო ძლიერებაში“, აგრეთვე ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესის დარგში.

შეეხო რა შეერთებული შტატების „სამხედრო ძლიერებას“, ეიზენჰაუერმა თავის მსმენელებს გააცნო მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს „ატომგულის სპასუხო დარტყმის უნარს“, მოკავშირეებთან თანამშრომლობით „ძალის მოქნილი სტრუქტურის“ უზრუნველყოფას, „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის შინარჩენების ეფექტიანობის მაღალ დონეზე“, „ძალის რეზერვის“ არსებობას, რათა „დაკმაყოფილდეს საგანგებო ვითარების გაუთვალისწინებელი მოთხოვნები“.

ამისათვის, თქვა პრეზიდენტმა, საჭიროა ფული, რომელიც მიიღება გადასახადების აღებით. უკანასკნელ 5 საბიუჯეტო წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა შეადგინა 211 მილიარდი დოლარი — საშუალოდ 42 მილიარდი დოლარი წელიწადში. „მთელი რიგი წლების მანძილზე, — თქვა პრეზიდენტმა, — სულ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა სულ უფრო თანამედროვე სახეობათა იარაღის გამოგონებას, შექმნასა და გამოცდას მომავლში გამოსაყენებლად. თავდაცვის სამინისტრო წელიწადში 5 მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავს ამგვარი კვლევითი მუშაობისა და ექსპერიმენტებისათვის“.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ტექნიკურ მიღწევებს, პრეზიდენტმა თქვა: „ეს მიღწევები კვლავ გვიმტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი კომპეტენტურია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ომში. ჩვენ ეს უნდა მიგვაჩნდეს და მიგვაჩნია თავდაცვის დარგში მთელი ჩვენი მდგომარეობის ახალი კრიტიკული გადასინჯვის დროდ“. მაგრამ ეიზენჰაუერის ეს „კრიტიკული გადასინჯვა“ იმით ამოიწურება, რომ იგი მოითხოვს შემდგომ გამალებულ შეიარაღებას და ახალ სამხედრო ასიგნობებს.

ჩამოაყალიბა რა მთავრობის პროგრამა „ატომგულის ძლიერების“ ზრდის, სამართავი რაკეტული იუმბარების წარშობის, მათი განლაგებისა და დადგმის და სხვ. დაჩქარების დარგში, ეიზენჰაუერმა განაგრძო: „მთელი ეს ახალი ხარჯები, რომლებიც საერთოდ მეტად მნიშვნელოვან თანხას შეადგენენ, უკვე დაემატა ჩვენს მიმდინარე ყოველწლიურ ხარჯებს უშიშროების უზრუნველყოფად. ამჟამად მოსალოდნელი არ არის აქ მიმდინარე ხარჯების რამდენადმე სერიოზული შემცირება. ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოინახოს სხვა დარგები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ხარჯების შემცირება“.

პრეზიდენტმა აშკარად განაცხადა, რომ გამალებული შეიარაღების დაფინანსება განხორციელდება იმ გზით, რომ შემდგომ შემცირდეს ისედაც უმნიშვნელო ხარჯები მთავრობის სამოქალაქო საქმიანობის დარგში, რომელსაც, როგორც ცნობილია, ეკუთვნის პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში, ასიგნობანი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის, სახელმწიფო საბინაო შენებლობა და ქოხმახების ლიკვიდაცია, ომის ინვალიდების პენსიები და სხვ.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხარჯების შემცირება ვერ მოხდება უცხო სახელმწიფოებისათვის სამხედრო დახმარების შემცირების გზით. პირიქით, მან დაჟინებით მოითხოვა „დამატებითი ბაზების“ შექმნა.

განაცხადა რა, რომ „საბჭოთა კავშირს ამჟამად გაცილებით მეტი მეცნიერი და ინჟინერი ჰყავს, ვიდრე შეერთებულ შტატებს“ და „ამზადებს კადრებს ამ დარგებში გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით“, ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ „ეს ტენდენცია შეშფოთებას იწვევს“ და „უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა“. მან ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერთა კადრების მომზადების ვრცელი პროგრამა, დაწყებული საშუალო სკოლით.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავისი სიტყვის დასასრულს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ესწრაფვის მშვიდობას და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ეს მტკიცება პირდაპირ ეწინააღმდეგება ეიზენჰაუერის გამოსვლის მთელ აგრესიულ ხასიათს.

კამბოჯის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ორ დღეს იმყოფებოდა კამბოჯის პარტიის — სახალხო-სოციალისტური გაერთიანების დელეგაცია ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ჩუოპ სამლოტის მეთაურობით.

დელეგაციის წევრები ეწვივნენ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის პრორექტორთან სამეცნიერო ნაწილში პროფესორ ს. ქიენტთან საუბრის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. ასევე იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, გაემგზავრნენ რუსთავში.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ კამბოჯელი სტუმრების პატივსაცემად სადილი გამართა. სადილზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დელეგაციის მეთაურმა ბ-ნმა ჩუოპ სამლოტმა დელეგაციის ყველა წევრის სახელით მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, აღნიშნა კამბოჯისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მტკიცდება და ვითარდება.

14 ნოემბერს კამბოჯის პარტიის — სახალხო-სოციალისტური გაერთიანების დელეგაცია ტაშკენტში გაფრინდა. (საქდესი).

ტანსაცმლის მოდელები

პოპულარობით სარგებლობს საქართველოს მოდელების სახლის მოდელიორ-მხატვრებისა და მოდელიორ-კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ტანსაცმლის ფასონები. ამჟამად ისინი მუშაობენ შემოდგომა-ზამთრის სეზონის ტანსაცმლის ახალ მოდელებზე. უკვე შექმნილია 167 ახალი ფასონი, რომელთაგან 155 დამტკიცებულია სამხატვრო საბჭოს მიერ. 66 ფასონი გადაცემულია წარმოებაში მასობრივი გამოშვებისათვის.

მოდელების სახლი სადემონსტრაციო დარბაზში დიასახლისებისათვის კვირაში ორჯერ რეგულარულად აწყობს ტანსაცმლის ახალი მოდელების ჩვენებას ცოცხალ მანეკენებზე, მართავს სხვადასხვა სეზონის მოდური ტანსაცმლის გამოფენას. წელს ასეთი გამოფენები მოეწყო თბილისის ოფიცერთა სახლში, ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში, პიონერთა სასახლეში, ბათუმის მეხუთე სამკერვალო ფაბრიკაში, რკინიგზელთა კლუბში, აგრეთვე რუსთავში, ქუთაისში და სხვა ადგილებში.

⊙

დღითიდღე ლამაზდება თბილისი, მას ემატება მშრომელთა დასასვენებელი ადგილები, მისი ქუჩები, მოედნები მშვენდება ახალი მწვანე ნარგავებით. ამ დღეებში კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს თბილისელებმა — ახლად რეკონსტრუირებულ საბჭოს ქუჩასთან ლამაზი ბაღით დამშვენდა მიდამო. ყველაზე მეტად ეს ახლო მცხოვრებ ბავშვებს გაეხარდათ. შემოდგომაა, მაგრამ ისინი თითქმის მთელ დღეს აქ სუფთა-ჰაერზე თამაშობენ. აბა შეხედეთ სურათს, რა საქმიანი გამომეტყველება აქვთ ამ პატარებს, რომლებიც, როგორც ჩანს, თავიანთი საკუთარი „ბაღის“ გაშენებას აპირებენ.

ფოტო შ. გოკაძისა.

სპორტის ამბები

★ ★

რ. ჩიმიშკიანის ორი ახალი მსოფლიო რეკორდი

თეირანში საბჭოთა შტანგისტებმა ბრწყინვალე შედეგებით დაამთავრეს მსოფლიო პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. მოიპოვეს რა 6 ოქროს მედალი, მათ 33 ქულით საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და დიდად გაუსწრეს ამერიკის შეერთებული შტატების შტანგისტებს.

13 ნოემბერს, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ძალოსნები გამოდიოდნენ ახალი რეკორდების დასამყარებლად. დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრს საქართველოს სპორტსმენს რ. ჩიმიშკიანს.

რ. ჩიმიშკიანმა ატაცში აჩვენა 110,5 კილოგრამი, აკვრაში — 143,5 კილოგრამი და ქვემსუბუქ წონაში ორი ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა. წინანდელი რეკორდები მასვე ეკუთვნოდა.

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

თბილისის დინამოელებმა მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი შეხვედრა გამართეს მოსკოვში „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივის წინააღმდეგ. შეჯიბრება ხასიათდებოდა სინტერესო ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 0:0.

თბილისის „დინამომ“ 22 თამაშის 44 შესაძლებლობიდან 21 ქულა შეაგროვა ბურთების საერთო შეფარდებით 27:33 და მეშვიდე ადგილი დაიკავა.

საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები

ლენინგრადში, კიევსა და სვერდლოვსკში გრძელდება ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. როგორც ვიუწყებოდით, სვერდლოვსკისა და კიევის ნახევარფინალებში საქართველოდან მონაწილეობა იღებენ ოსტატი ბ. გურგენიძე და ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე.

პირველ ტურში ბ. გურგენიძემ ძლიერად ჩაატარა პარტია ო. კამინსკისთან (ლენინგრადი), ხარისხისა და პაიკის შეწირვით იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფეზე და გამარჯვება მოიპოვა. მეორე ტურში ქართველი ოსტატი შეხვდა გ. ბორისენკოს (სვერდლოვსკი). შუა თამაშში ბ. გურგენიძეს პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ძლიერ ცაიტნოტში მოექცა და პარტია წააგო. მესამე ტურის შედეგით გურგენიძემ გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მან მოუგო ოსტატ ა. ლუტიკოვს (ჩელიაბინსკი).

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს 2 ქულა აქვს.

ა. ბლაგიძემ პირველ ტურში წააგო შეხვედრა ოსტატ ი. სახაროვთან (კიევი), მეორე ტურში გადადო პარტია ოსტატ ა. ხასინთან (მოსკოვი), ხოლო მესამე ტურში დამარცხება განიცადა გროსმაისტერ ა. კოტოვთან (მოსკოვი).

რედაქტორი პ. რატიანი.



დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისში, გორის ქუჩაზე დამთავრდა მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ოთხსართულიანი 88-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლი გორის ქუჩაზე.

ფოტო ე. ციციშვილისა.

გავაშენოთ გრეიპფრუტის ბაღები

გრეიპფრუტი ციტრუსოვანთა ერთ-ერთი სახეა. იგი, როგორც სამრეწველო კულტურა, ყველაზე ადრე ცნობილი გახდა ფლორიდაში. ამჟამად ფართოდ გავრცელებულია ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ისრაელის სახელმწიფოში.

ხე დიდი იზრდება. ნაყოფი მსხვილია. მისი დიამეტრი 10-13 სანტიმეტრს შეადგენს. კანი ღია ყვითელია, ნაყოფს მომჟავო-ტკბილი გემო აქვს.

საზღვარგარეთ გრეიპფრუტს ხმარობენ როგორც შაქართან ერთად, ისე კონსერვის სახით. ნაყოფს სამკურნალო თვისებებიც აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ფართოდ იყენებენ განსაკუთრებით მალარიით დაავადებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს.

სამრეწველო ჯიშებიდან საზღვარგარეთ უფრო გავრცელებულია „დუნკანის“, „მარშის“ ჯიშები, აგრეთვე „ტრიუმფი“, „ფოსტერი“ და სხვ.

გრეიპფრუტი ყინვაგამძლეობის მხრივ ფორთოხლის დონეზე დგას. დიდი მნიშვნელობა აქვს გრეიპფრუტის მოყვანის აგროტექნიკის დაცვას. სარგავი მასალა ისე უნდა გამოვიყვანოთ, როგორც ციტრუსოვანი კულტურებისა, საძირედ ვიხმაროთ ტრიფოლიატი. ამ კულტურის დარგვა და ნარგავების მოვლა რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებებს არ მოითხოვს. დარგვის სიხშირე იგივეა, რაც ფორთოხლისა — ჰექტარზე 750-800 ძირი.



„დუნკანის“ ჯიშის გრეიპფრუტის ნაყოფი.

საქართველოში გრეიპფრუტი ჯერჯერობით ფართოდ არ არის გავრცელებული. იგი ერთეული ეგზემპლარების სახით მოიპოვება საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების მცირე ნაკვეთებზე.

საქართველოს ჰავის პირობებში გამოცდილ იქნა ჯიშები „დუნკანი“, „მარში“, „ფოსტერი“ და სხვ. ყველაზე ყინვაგამძლე აღმოჩნდა „დუნკანი“.

სუბტროპიკული კულტურების სოხუმის სასელექციო სადგურმა გამოიყვანა გრეიპფრუტის ჰიბრიდების რამდენიმე სახე, რომლებიც, ზოგიერთი თვისებრივი მაჩვენებლით გრეიპფრუტის ყველა საიმპორტო შემოწმებულ ჯიშს სჯობნის.

დიდ ინტერესს იწვევს „პომპელმუსისა“ (ციტრუსების ერთ-ერთი სახეობა) და № 1537 და № 2974 გრეიპფრუტის ჰიბრიდი, რომელიც მიიღო სოხუმის სასელექციო სადგურმა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰიბრიდის ნაყოფი მსხვილია, წვნიანია და უფრო ადრე მწიფდება.

სოხუმის სასელექციო სადგური და სახელმწიფო სანერგეები მოვალენი არიან მეტი ყურადღება მიაქციონ ამ ძვირფასი კულტურის შესწავლას, ჩვენი სუბტროპიკული ზონის პირობებთან შეგუებული ახალი ჯიშების გამოყვანას და არსებულის სრულყოფას.

ახლა, როცა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახეს სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა, ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის გადიდება, საჭიროა სისტემატურად ვიმუშაოთ გრეიპფრუტის საქართველოში უფრო გაბედულად გავრცელებისათვის. სოხუმის სასელექციო სადგურის და სახელმწიფო სანერგეების მუშაკების ღირსებისა და სახელის საქმეა გაამრავლონ საუკეთესო პერსპექტიული ჰიბრიდები და ფართოდ დანერგონ ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ჩვენი აზრით, ამ საქმის დანერგვის ინიციატორებად უნდა გამოვიდნენ უწინარეს ყოვლისა სუბტროპიკული რაიონების საბჭოთა მეურნეობების მუშაკები.

სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და მათმა მუშაკებმა კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან მჭიდრო კავშირში შეუნელებელი ყურადღება უნდა მიაქციონ „პომპელმუსის“ და გრეიპფრუტის ჰიბრიდის გავრცელებას, რის შედეგადაც ციტრუსოვანი ხილის კიდევ ერთი ახალი მშვენიერი სახე დაამშვენებს საბჭოთა ადამიანების სუფრას.

პ. ჯორბენაძე,
აგრონომი.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის. — დაისი, რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, მარჯანიშვილის სახელობის — ღალატი (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დრამის სპექტაკლი), გრიბოედოვის სახელობის — მფლანგველი, სომხური დრამის — მორგანის მძახალი, მუსიკალური კომედიის — ნანატრი საქმრო, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბორის ძნელაძე (აპონემენტი № 43, 7 ს.), ფილარმონია — სოხუმის საესტრადო ანსამბლის კონცერტი (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზაფხულო), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვისა და ჭავჭავაძის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — ქალის ტვირთი, ამირანი (ფართო ეკრანი) — დები, ისანი (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო და საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, ყაზბეგი, კომუნარების ბაღი — წყნარი დონი, კომკავშირელი, დიდუბე (საზამთრო და საზაფხულო) — დედის სიყვარული, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ვიბორგის მხარე, საქართველო (წითელი დარბაზი) — კარნავალის ღამე, კოლმეურნე — წითელი და შავი (I და II სერია), სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — წეროები მიფრინავენ, ცენტრალური კულტურის სახლი — ვირთაგვები.

ტელეგადაცემათა პროგრამა

16 ნოემბრისათვის

19.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ბაბუა თევდორეს ზღაპრები“ (ზღაპარი სიმინდის მარცვალზე), 19.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან „მინდა ყველაფერი ვიცოდე“, 19.50— კინოჟურნალები, 20.20 — ახალი ინდური მხატვრული ფილმი „დედის სიყვარული“.

მოქალაქე ავთანდილ გიორგის-ძე გუგულაშვილმა, მცხოვრებმა დაღესტნის ქ. № 25, აღძრა საქმე მაზუთის ქ. № 85 მცხოვრებ მოქალაქე ვენერა ნასყიდას ასულ გუგულაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ელენე, შვილი თამარ გურაბანიძე, სიძე დ. ბიბილეიშვილი შვილებით იუწყებიან
ალექსანდრე ტარიელის-ძე გურაბანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XI, 8 ს. გამოსვენება 17-XI, 2 ს. გორკის ქ. № 35.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი იუწყება
ნოე ივანეს-ძე წეროძის
გარდაცვალებას.

მამა ილია, და დარო, რძლები ვალია, მარიამ, ლილი, ლიანა ოჯახებით იუწყებიან აგრონომ
ქრისტინე ილიას ასულ ხვედელიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-XI, 7 ს. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ბათუმის ქ. № 18.

დები ნადია, ქსენია, თამარ ჯიმშელეიშვილები, სიძე ნ. ტერელაძე იუწყებიან
ვერა ხარიტონის ასულ ჯიმშელეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-XI, 5 ს. სოფელ დიდ კუხში (წულუკიძის რ.).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან
არისტიდა ნიკოლოზის ასულ ცქიმანაურის
გარდაცვალებას.

მშობლები მარიამ, გიორგი, ძმები იური, გარი, რძალი ირმა თხინვალელები იუწყებიან
თამარ გიორგის ასულ თხინვალელის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18-XI, 8 ს. გამოსვენება 19-XI, 4 ს. საბჭოს ქ. № 123.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის წევრები იუწყებიან
ეკატერინე ეგნატეს ასულ მგელაძის
გარდაცვალებას.

შვილები გახტანგ, დავით, რძლები მერი გომართელი, ეთერ კორძაია შვილებით იუწყებიან
თამარ ისაკის ასულ მაღალაშვილი-ჭურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18-XI, 8 ს. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ბათუმის ქ. № 9.

დები თინათინ, დარეჯან, ნათელა, სიძეები ჭ. ოქრომჭედლიძე, ე. ზარნაძე ოჯახებით იუწყებიან
მაყვალა ნიკოლოზის ასულ ლორთქიფანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-XI, 3 ს. ბოლნისში, გამოსვენება რუსთაველის ქ. № 31.

დედა მარიამ, მეუღლე მარო, შვილები ოთარ, ნუნუ, ნადია, და თამარ, სიძეები რ. გერგაია, ს. ვაშაკიძე შვილებით იუწყებიან
ხალიბისტრო მიქელის-ძე როგავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XI, 8 ს. გამოსვენება 17-XI, 2 ს. რუსთაველის პროსპ. № 26.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრანსპორტის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ
რაჟდენ ლევანის-ძე ჯაიანის
გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობას თანამშრომლები იუწყებიან გამომცემლობის რედაქტორის
შალვა ნესტორის-ძე ურიდიას
გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიტულ ლენინური თეორიის პრობლემების — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ეროვნული კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტიულისა — 3-72-80, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-33-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

2

ფე 03562 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.